საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 28 მარტის

დადგენილება № 1125

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ
დებულებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის
ფორმის, პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად
წარდგენის წესის ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებულ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების პირველ და მე-2 დანართებში მოცემული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სქემის მეორე ვარიანტში საგანი „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ შეიცვალოს საგნით „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები“;

ბ) დებულების მე-3 დანართში „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“ შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„მე-2 მუხლის „საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის“ პირველი პუნქტის 2.1.3 ქვეპუნქტში სასწავლო კურსი „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის №433 დადგენილების მე-4 დანართით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფორმაში, 2014-2015 სასწავლო წლიდან აკრედიტაცია/ავტორიზაციაზე წარსადგენი პროგრამებისთვის, შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ფორმის გრაფაში „სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები“ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- სწავლის შედეგების მიღწევის ფორმის დასახელებაში „სამეცნიერო-თემატური სემინარი“ ამოღებული იქნეს სიტყვები „სამეცნიერო-თემატური“;
- სწავლის შედეგების მიღწევის ფორმის „დამოუკიდებელი მუშაობის“ წინ დაემატოს კიდევ ერთი ფორმა „კონსულტაცია“;
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში მოცემული ტერმინი „დისერტაციის გაფორმება“ შეიცვალოს ტერმინით „სასემინარო ნაშრომი“, ხოლო „დისერტაციის დაცვა“ - ტერმინით „სადოქტორო დისერტაცია“.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ფორმაში მოცემული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სქემა, სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სასწავლო გეგმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართები 1, 2, 3).

3. შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის №433 დადგენილების მე-5 დანართით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი“ და იგი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 4).

4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა.ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ.სალუქვაძე

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 28 მარტის
№ 1125 დადგენილების
დანართი 1

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი	
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი
		სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები	**20**	**10**	**15**	**15**	**-**	**-**
1		სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები	5					
2		კვლევის მეთოდები*	5					
3		პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები*	10	10				
4	-	პირველი თემატური სემინარი			15			
5	-	მეორე თემატური სემინარი				15		
		კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტები	**10**	**20**	**15**	**15**	**30**	**30**
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი-პროსპექტუსი - 1	10					
2	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი-პროსპექტუსი - 2		20				
3	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი - 1			15			
4	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი - 2				15		
5	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი - 3					30	
6	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30
ECTS კრედიტები		**სემესტრში**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**
		სასწავლო წელს	**60**		**60**		**60**	

* შენიშვნა - სასწავლო კურსები ჩაიწერება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 28 მარტის
№ 1125 დადგენილების
დანართი 2

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტის ელემენტები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1		სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები						
2		კვლევის მეთოდები*						
4		პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსი*						
	-	პირველი თემატური სემინარი						
	-	მეორე თემატური სემინარი						

* შენიშვნა - სასწავლო კურსები ჩაიწერება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 28 მარტის
№ 1125 დადგენილების
დანართი 3

პროგრამის სასწავლო გეგმა

	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი/საათი	ლექცია (სთ)	სემინარი (ჯგუფური მუშაობა) (სთ)	პრაქტიკული (სთ)	ლაბორატორიული (სთ)	შუალედური შეფასება (სთ)	დასკვნითი გამოცდა (სთ)	კონსულტაცია (სთ)	დამოუკიდებელი მუშაობა (სთ)
1		სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები		5/135	1/15	1/15	-	-	2	1	1/15	87
2		კვლევის მეთოდები*		5/135	1/15	1/15	-	-	2	1	1/15	87
3												

* შენიშვნა - სასწავლო კურსი ჩაიწერება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 28 მარტის
№ 1125 დადგენილების
დანართი 4

საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/შედგენაში მონაწილე პირები ხელმძღვანელობენ საქართველოს არსებული კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შესაბამისი დებულებებითა და სტანდარტებით, აგრეთვე, მოქმედი ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შემუშავდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 120/ნ ბრძანების „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ” დანართი 3-ით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით, აგრეთვე, აღნიშნული ბრძანების დანართი 4-ით განსაზღვრული დარგების/სპეციალობებისა და ქვედარგების/სპეციალიზაციების ჩამონათვალის შესაბამისად.
3. საგანმანათლებლო პროგრამას ხელს აწერენ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და დეკანი.
4. პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პროგრამის ცალკეული კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსისა და არსებული რესურსების შესაბამისობას ამ კომპონენტითა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებთან.
5. საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესათანხმებლად.
6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან და შესაბამისობის შემთხვევაში ხელმოწერილ პროგრამას, ხოლო შენიშვნების არსებობისას შესაბამის წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.
7. შენიშვნების არსებობისას პროგრამის შედგენასთან დაკავშირებული პირები, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მსჯელობენ დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე და შეაქვთ სათანადო შესწორებები პროგრამაში. ის საკითხები, რომელზეც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, განიხილება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.
8. შეთანხმებულ პროგრამას დეკანი წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.
9. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი შესაბამისი მოხსენებითი ბარათისა და საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერთან ერთად პროგრამას გადასცემს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
10. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე პროგრამა დასამტკიცებლად გააქვს დეკანს ფაკულტეტის საბჭოს სახელით. მიზანშეწონილია, განხილვას დაესწრონ

პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

11. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის რეალურ მდგომარეობასა და პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას პერიოდულად აფასებენ უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანების „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თანახმად შექმნილი კომისიები.
12. უნივერსიტეტში სისტემატურად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და სრულყოფა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამების განხორციელების ხარისხის მუდმივ კონტროლს, შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადებასა და ფაკულტეტების საბჭოებსა და აკადემიურ საბჭოზე მათ წარდგენას.
13. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ფაკულტეტზე არსებული ავტორიზებული და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, პროგრამების აღწერის (კატალოგის) განთავსებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.